შპს „ვარდნილჰესების კასკადი"-ს მიერ ზემძიმე ტვირთის (ძალოვანი ტრანსფორმატორის 115 ტ) ტრანსპორტირებაზე მარშრუტით: რ/გ სადგური ინგირი – ზუგდიდი – ჯვარი – ერისწყლის გადასასვლელი – დას. საბერიო, (ენგურჰესი) – ოცარცე – გალი – გალის რ-ნი დას. რეჩხი, კონკურსის მეშვეობით პროექტისა და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვაზე შექმნილი საკონკურსო კომისიის სხდომის

ოქმი №2

დას. რეჩხი „17" ივლისი 2014წ

1. **ალფეზ შელია** – შპს „ვარდნილჰესების კასკადი"-ს დირექტორი – საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე;
2. **შოთა სანაძე** – შპს „ვარდნილჰესების კასკადი"-ს მთავარი ინჟინერი – საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;
3. **იამზე ყოლბაია** – შპს „ვარდნილჰესების კასკადი"-ს ტექნიკური განყოფილების უფროსი – საკონკურსო კომისიის წევრი;

სხდომას არ ესწრება საკონკურსო კომისიის წევრი -შპს „ვარდნილჰესების კასკადი"-ს მთავარი ბუღალტერი– **კახა მზარელუა**

დღის წესრიგი:

შპს „ვარდნილჰესების კასკადი"-ს მიერ ზემძიმე ტვირთის (ძალოვანი ტრანსფორმატორის 115 ტ) ტრანსპორტირებაზე მარშრუტით: რ/გ სადგური ინგირი – ზუგდიდი – ჯვარი – ერისწყლის გადასასვლელი – დას. საბერიო, (ენგურჰესი) – ოცარცე – გალი – გალის რ-ნი დას. რეჩხი, კონკურსის მეშვეობით პროექტისა და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვაზე გამოცხადებულ **(№1295)** კონკურსში მონაწილე პრეტენდენტის სსიპ „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის" მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების შერჩევა/შეფასება.

მოისმინეს:

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ – ა. შელიამ კომისიის წევრებს განუმარტა, რომ გამოცხადებულ კონკურსში წინადადების მიღების ვადის დასრულებამდე, დახურულ კონვერტში ერთი ორიგინალი და ერთი ასლი წარმოადგინა ერთმა პრეტენდენტმა -სსიპ „საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა" .

კომისიის თავმჯდომარემ გახსნა კონვერტი და კომისიის წევრებს გააცნო პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია, კერძოდ :

- საგადასახადო დავალება;
- ფასების ცხრილი;
- ინფორმაცია სსიპ „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის " ხიდსაცდელი ცენტრის სპეციალისტთა კვალიფიკაციის შესახებ;
- ინფორმაცია სსიპ „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის " ხიდსაცდელი ცენტრის მიერ განხორციელებული ანალოგიური მომსახურების შესახებ;

- მიღება – ჩაბარების აქტები და ხელშეკრულებები.

საკონკურსო წინადადების ფასი შეადგენს 26 000 (ოცდაექვს ათას) ლარს

საკონკურსო კომისიამ განიხილა წარმოდგენილი დოკუმენტაცია, შედეგად გამოვლინდა, რომ საგადასახადო დავალებაში არ არის მითითებული საკონკურსო განცხადების 5.2 პუნქტის ბ და გ ქვეპუნქტებით მოთხოვნილი ინფორმაცია, კერძოდ შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება, საიდენტიფიკაციო კოდი და კონკურსანტის დასახელება საიდენტიფიკაციო კოდი.

საკონკუროს კომისიამ დაადგინა :

1. კონკურსის მეშვეობის საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის მე-4-ე მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად სსიპ „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს“ მიენიჭოს დისკვალიფიკაცია.
2. აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოს სსიპ „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს“

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე: ა. შელია

სატენდერო კომისიის თავ. მოადგილე: შ. სანაძე

სატენდერო კომისიის წევრი: ი. ყოლბაია